0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE

ელზა ბადაშვილი
ახალი ქართული გიმნაზია
New Georgian Gymnasium

როგორ გადაიზარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ვაუჩერული დაფინანსება (ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობა) - გაურკვეველი ტიპის პროგრამულ-ვაუჩერულ დაფინანსებაზე

მას შემდეგ რაც საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დააფუძნეს, ამოქმედდა დაფინანსების ვაუჩერული სისტემა.

სწავლის დაფინანსების ვაუჩერული მოდელი 2005 წელს მსოფლიო ბანკის პროექტის - „ილია ჭავჭავაძის“ ფარგლებში შემუშავდა და საგანმანათლებლო სივრცეში 2006 წლის იანვრიდან ამოქმედდა.

დაფინანსების ვაუჩერულ სისტემას რამდენიმე მიზანი ჰქონდა:

1. ზოგადი განათლების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად, მშობელს თავისუფალი არჩევანის საშუალება მიეცა - სახელმწიფოს მიერ გაცემული ვაუჩერით, სასურველ სკოლას აირჩევდა;
2. ზოგადი განათლების სისტემაში, კერძო სექტორის როლის გაძლიერება და არასტანდარტული პროგრამების - ინსენტივების სისტემის განვითარება;
3. როგორც საჯარო და კერძო სკოლებს შორის, ისე შიდა სასკოლო სწავლების ხარისხის და ჯანსაღი კონკურენციის ეფექტიანობის ამაღლება;
4. ოპტიმიზაცია, ანუ სკოლებში არსებული რესურსების ოპტიმალური, რაციონალური ხარჯვის ხელშეწყობა;
5. საგანმანათლებლო რესურსების თანაბარი გადანაწილება, დაფინანსების მანკიერი ცენტრალიზებული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, როცა მხოლოდ სკოლის თანამშრომელთა ხელფასები გაიცემოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ სისტემაში პოზიტიური ძვრების ტენდენციას მიეცა დასაბამი, რასაც კიდევ უფრო მეტი დახვეწა და განვითარება სჭირდებოდა, რათა ჩვენი ეროვნული განათლების ხარისხი და დონე, კიდევ უფრო მაღალი რეგისტრისა და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ყოფილიყო. თუმცა ამ საშური საკითხისადმი თანამედროვე მიდგომების მიუხედავად, განათლების სისტემამ დადებითი, პოზიტიური სასტარტო პოზიციები დათმო და განვითარების არასასურველი, არასამართლიანი და შეიძლება ითქვას, რომ დისკრიმინაციული გზით წავიდა.

ვაუჩერული დაფინანსების სხვადასხვა მოდელიდან, საქართველომ „უნივერსალური“ ვარიანტი აირჩია - ფინანსდებოდა ყველა მოსწავლის განათლება განურჩევლად კერძო და საჯარო სექტორებისა. საწყის ეტაპზე დაფინანსების ოდენობა თანაბარი იყო, მშობელს კი საშუალება ეძლეოდა, რომ თუ კერძო სკოლაში სწავლისთვის გამოყოფილი თანხა საკმარისი არ იქნებოდა, განსხვავება საკუთარი ბიუჯეტიდან შეევსო.

სკოლებს, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი შესაბამისი თანხა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ერიცხებოდათ ავტორიზაციის საჭირო პროცედურის გავლისა და ლიცენზიის მოპოვების შემდეგ.

დაფინანსების ოდენობა განისაზღვრებოდა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სირთულის გათვალისწინებით და იყოფოდა სამ კატეგორიად:

ა) ქალაქი;

ბ) სოფელი;

გ) მაღალმთიანი რეგიონი.

შესაბამისად, ვაუჩერის ღირებულება განსხვავებული იყო.

საწყის ეტაპზე - 2005-დან 2008 წლებში ვაუჩერული დაფინანსების ფორმულაში ცვლილებები არ შესულა. არსებულ კატეგორიებში მხოლოდ ვაუჩერის ოდენობა იცვლებოდა. 2005 წლის 14 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის N182-ე დადგენილებით განისაზღვრა გეოგრაფიული კუთვნილების მიხედვით

ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობა (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/10564?publication=0) (იხ. ცხრილი 1).

ცხრ.1.

ადგილმდებარეობა	ვაუჩერი	ვაუჩერი	ვაუჩერი
თარიღი14.10.2005 დადგენილება N182		**თარიღი 22.12.2006 დადგენილება N246**	**თარიღი 13.11.2007 დადგენილება N246**
ქალაქი	220	235	300
სოფელი/დაბა	330	350	420
მაღალ მთიანი	396	425	510

დადგენილებამ ხუთგზის განიცადა ცვლილება: პირველ სამ ცვლილებაში ვაუჩერის რაოდენობა იზრდებოდა, მეოთხე ცვლილებაში კი საქართველოს მთავრობის 2008 წლის 31 დეკემბრის N268-ე დადგენილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4924?publication=0) ვაუჩერის მატებასთან ერთად, ქალაქის სკოლებისათვის პირველი 400 მოსწავლეზე, ხოლო სოფლის/დაბის სკოლებისთვის პირველ 200 მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერის სტანდარტულისგან განსხვავებული, მომატებული თანხა დაფიქსირდა (იხ. ცხრილი 2).

ცხრ.2.

ადგილმდებარეობა	ვაუჩერი
თარიღი 31.12.2008 დადგენილება N268	
ქალაქი	325
სოფელი/დაბა	450
მაღალმთიანი	565
ქალაქი 1-400 მოსწ.	345
სოფელი/დაბა1-200 მოსწ.	475

მეხუთე ცვლილებაში კი საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს N151-ე დადგენილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6184?publication=0), პირველად შემოვიდა საჯარო სკოლებისთვის განსხვავებული ვაუჩერი (იხ. ცხრილი 3.)

ცხრ.3.

ადგილმდებარეობა	ვაუჩერი
თარიღი 14.08.2009 დადგენილება N151	
ქალაქი	345
სოფელი/დაბა	475
მაღალმთიანი	565
ქალაქი 1-400 საჯ.	415
ქალაქი 400 და > საჯ.	545
სოფელი/დაბა 1-200 საჯ.	380
სოფელი/დაბა 200 და მეტი საჯ.	505
მაღალმთიანი საჯ.	635

რითაც უხეშად დაირღვა თანაბარუფლებიანობის პრინციპი და დადგენილების თანახმად საჯარო სკოლებს - კერძოსგან განსხვავებით, სრულიად დაუსაბუთებელი მიზეზებით მიენიჭა უპირატესობა.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, თუ კერძო სკოლის მოსწავლეებზე გამოყოფილი იყო 345-475-565 ლარი, საჯარო სკოლის მოსწავლეებზე გამოიყო 415-545-380/505-635 ლარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2006 წლის იანვრიდან 2009 წლის სექტემბრამდე (თითქმის ოთხი წლის მანძილზე), ვაუჩერის ოდენობა თანაბარი იყო განურჩევლად საჯარო და კერძო სექტორებისა და სტაბილურად მზარდიც: სასტარტო ოდენობა შეადგენდა 220 ლარს და თანდათან 345 ლარს მიაღწია.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის N182-ე დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა, მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის N395-ე დადგენილებით და ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივი და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის გამოთვლა, სკოლაში არსებული მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით ექვს კატეგორიად დაიყო: 161-209; 210-299; 300-449; 450-599; 600-999 და 1000-ზე მეტი. ამასთან, I-VIII კლასების მოსწავლეთა ვაუჩერის ოდენობამ IX-XII კლასის მოსწავლეებთან შედარებით, დაიკლო (?) და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია - მოიხსნა რთული გეოგრაფიული ადგილმდებარეობის პრიორიტეტული კუთვნილება და გაუთანაბრდა განათლების ადვილად ხელმისაწვდომ ლოკაციებს (იხ. ცხრილი 4).

ცხრ.4.

კლასები	მოსწავლეთა რაოდენობა	ვაუჩერი
თარიღი 23.12.2010 დადგენილება N395		
1-8	161-209	430
	210-299	390
	300-449	385
	450-599	370
	600-999	350
	1000 და მეტი	330
9-12	161-209	516
	210-299	468
	300-449	462
	450-599	444
	600-999	420
	1000 და მეტი	396

რატომ არის I-VIII კლასების მოსწავლეთა ვაუჩერის ოდენობა IX-XII კლასის მოსწავლეების ვაუჩერის ოდენობაზე ნაკლები დღემდე გაურკვეველია და ვერავინ ვერ პასუხობს ამ მარტივ კითხვას.

თუ ადრე სკოლის დირექტორები, ფინანსური დაინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდნენ სკოლაში ჰყოლოდათ რაც შეიძლება მეტი მოსწავლე, კანონში ამ ცვლილების შემდეგ, 599-დან 999-ის ფარგლებში ლავირებდნენ და მეტი მოსწავლის მიღების წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან მოსწავლეთა რაოდენობის მატებასთან ერთად, პარალელურად იკლებდა ვაუჩერი, შესაბამისად ფინანსებიც.

იმის გამო, რომ საჯარო სკოლებისთვის აღნიშნული ვაუჩერი არ იყო საკმარისი, 2010 წლის 23 დეკემბრის N395 დადგენილების საფუძველზე, მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით შემოიღეს დამატებითი, ე.წ. საბაზო დაფინანსება (იხ. ცხრილი 5).

ცხრ. 5.

მოსწავლეთა რაოდენობა	საბაზო დაფინანსება
თარიღი 23.12.2010 დადგენილება N395	
161-209	30 000
210-299	17 000
300-449	14 000
450-599	10 000
600-999	0
1000 და მეტი	0

ამავე დადგენილებით, არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის ყველანაირი დასაბუთების გარეშე, ვაუჩერის ოდენობა გაიზარდა სტანდარტული, დადგენილი ვაუჩერის 0.08 კოეფიციენტზე გამრავლებით, (რატომ? რის საფუძველზე?).

რაც ძალზედ შემაშფოთებელია - კერძო სკოლებისთვის ის შემცირდა და 345-475-565 ლარის ნაცვლად, ყველგან 300 ლარით განისაზღვრა.

ამ უკვე რიგით მეექვსე ცვლილებით შეიცვალა სკოლების რანჟირება მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. ასევე, ძირეულად შეიცვალა ვაუჩერის გაცემის თავდაპირველი ვერსია (იხ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1151089?publication=0), რაც იმაში მდგომარეობს, რომ I-VIII კლასების ჩათვლით - IX-XII კლასებთან შედარებით ვაუჩერული დაფინანსება შემცირდა, მრავალრიცხოვანი მოსწავლეებით დატვირთულ სკოლებთან შედარებით მცირერიცხოვან სკოლებში ვაუჩერის ოდენობა გაიზარდა მაშინ, როცა მრავალრიცხოვანი მოსწავლეებით დატვირთული სკოლების ხელმძღვანელ და პასუხისმგებელ პირებს მეტი შრომა და დატვირთვა აქვთ, მეტ მორალურ პასუხისმგებლობასთან ერთად, მეტია სკოლის ინვენტარის და სასწავლო მასალების ცვეთა-დაზიანებაც (იხ. ცხრილი 6).

ცხრ.6.

კლასები	მოსწავლეთა რაოდენობა	ვაუჩერი
თარიღი 26.01.2011 დადგენილება N37		
1-8	161-230	430
	231-299	390
	300-449	385
	450-599	370
	600-999	350
	1000 და მეტი	330
9-12	161-230	516
	231-299	468
	300-449	462
	450-599	444
	600-999	420
	1000 და მეტი	396

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 ოქტომბრის N379-ე დადგენილებით (მე-2 ცვლილება https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1489358?publication=0) საჯარო სკოლებს ზემოაღნიშნული დამატებითი საბაზო დაფინანსების გარდა, დაემატა მასწავლებელთა სახელფასო დანამატიც (იხ. ცხრილი 7).

ცხრ.7.

08.10.2011 დადგენილება N379	
მასწავლებლის სტატუსი	**სტატუსის დანამატი**
სერთიფიცირებული	75
კომპიუტერი ინგლისური	125
სერთიფიცირებული+კომპიუტერი ინგლისური+საუკეთესო	1000

რომელიც ითვალისწინებდა:

1. 75 ლარის ოდენობის დანამატს, თითოეულ იმ მასწავლებელზე, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდა „საჯარო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის“ საფუძველზე და კიდევ ერთი დანამატს, ახლა უკვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის N576 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის მე-5[1] პრიმა მუხლის საფუძველზე;
2. 125 ლარის ოდენობით დანამატს თითოეულ იმ მასწავლებელზე, რომლებსაც აქვთ მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარების და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
3. და ბოლოს - 1000 ლარის ოდენობით იმ მასწავლებლებს, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ სასერთიფიკაციო გამოცდა, აქვთ საბაზო-კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი და ამას პლიუს, იმ პირებს, რომლებმაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის არეალში მოქმედი სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით, მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარ-ჩვევებსა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სასერთიფიკაციო გამოცდის შედეგად, საუკეთესო შედეგები აჩვენეს.

2011 წლის 29 დეკემბრის მთავრობის N505-ე დადგენილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1549178?publication=0) საჯარო სკოლებს დამატებით კვლავ განესაზღვრათ გაზრდილი ვაუჩერი:

ა) არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის დადგენილი ვაუჩერის 0.12 კოეფიციენტზე გამრავლებით; (ისევ კითხვა-რატომ? საიდან მოდის კოეფიციენტის ოდენობა?)

ბ) საჯარო სკოლებისთვის, რომელთაც რეორგანიზაციის შედეგად ბალანსზე ერიცხებათ ერთ შენობაზე მეტი ადმინისტრაციული შენობა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის დადგენილი შესაბამისი საბაზო დაფინანსების ჯამის 0.12 კოეფიციენტზე გამრავლებით.

2013 წლის N249 დადგენილებით კი ზემოაღნიშნულს, საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარების დანამატიც მიემატა (იხ. ცხრილი 8).

ცხრ. 8.

თარიღი 27.09.2013 დადგენილება N249	
მასწავლებლის სტატუსი	**სტატუსის დანამატი**
სერთიფიცირებული	75
კომპიუტერი ინგლისური	125
სერთიფიცირებული+კომპიუტერი ინგლისური+საუკეთესო	1000
საბუნებისმეტყველო საგნის ექსპერიმენტული ნაწილი	75

ასევე მზარდი იყო საჯარო სკოლების საბაზო დაფინანსება და ვაუჩერი (იხ. ცხრილი 9 და 10).

ცხრ.9.

მოსწავლეთა რაოდენობა	საბაზო დაფინანსება
თარიღი 29.01.2013 დადგენილება N9	
170-190	47 000
191-205	45 000
206-225	43 000
226-530	39 000
531-735	32 000
736-1269	25 000
1270 და მეტი	10 000

ცხრ.10

კლასები	მოსწავლეთა რაოდენობა	ვაუჩერი
თარიღი 29.01.2013 დადგენილება N9		
1-8	170-190	405
	191-205	400
	206-225	395
	226-530	390
	531-735	385
	736-1269	380
	1270 და მეტი	375
9-12	170-190	486
	191-205	480
	206-225	474
	226-530	468
	531-735	462
	736-1269	456
	1270 და მეტი	450

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის N9-ე დადგენილებაში შეტანილი მე-6 ცვლილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1830820?publication=0), გაუქმდა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბერს N39-ე დადგენილება და სკოლებში კვლავ აღდგა დაფინანსების გამოთვლა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, შესაბამისად მოიმატა ვაუჩერმა და საბაზო დაფინანსებამაც. გარდა ამ სიკეთეებისა თითოეულ პედაგოგს დამატებით დაუფინანსდა სერთიფიცირებისათვის განკუთვნილი ყოველთვიური სარგო.

ამ დადგენილებაშიც ექვსი ცვლილება შევიდა. მე-2 ცვლილებით, 2013 წლის 27 სექტემბრის N249-ე დადგენილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2027973?publication=0) ზემოაღნიშნულ მზარდ დაფინანსებას, კიდევ ერთი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისთვის გამოყოფილი თანხაც დაემატა (იხ. ცხრილი 11).

ცხრ. 11

მოსწავლეთა რაოდენობა	დამატებითი დაფინანსება სპეც მოსწავლეებისთვის
თარიღი 27.09.2013 დადგენილება N249	
1-6	4200
7-13	8400
14-23	12600
24 და მეტი	16800

2013 წლიდან 2018 წლამდე, ზემოაღნიშნული ფინანსური მატების პარადიგმა, კიდევ 4-ჯერ გაიზარდა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 სექტემბრის N514-ე დადგენილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2492632?publication=0), საჯარო სკოლებს დაემატა სამედიცინო კაბინეტში დასაქმებულ თითოეულ შტატგარეშე მოსამსახურეზე, შრომის ანაზღაურების თანხა 395 ლარის ოდენობით, რომელიც 2019 წლის 30 აგვისტოს N418-ე დადგენილების მიხედვით 470 ლარამდე გაიზარდა. ხოლო 2021 წლის 22 დეკემბერს კვლავ გაიზარდა და შეადგინა ექიმზე 600 ლარი, ექთანზე 500 ლარი (იხ. ცხრილი12).

ცხრ. 12

თარიღი 05.09.2014 დადგენილება N541	
სტატუსი	**თანხა**
სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული - თითოეული შტატი	395
თარიღი 30.08.2019 დადგენილება N418	
სტატუსი	**თანხა**
სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული - თითოეული შტატი	470

თარიღი 22.12.2021 დადგენილება N602	
სტატუსი	**თანხა**
სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული - თითოეული შტატი(ექიმი/ექთანი)	600/500

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის N9-ე დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა, 2015 წლის 14 სექტემბრის N476-ე დადგენილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2982289?publication=0), რომელშიც უკვე დღეისათვის რვა ცვლილებაა შესული.

2016 წლის 26 სექტემბრის N447-ე დადგენილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3402012?publication=0) ისევ აღდგა მაღალმთიან რეგიონებში მდებარე საჯარო სკოლებისთვის გაზრდილი ვაუჩერი (იხ. ცხრილი 13).

ცხრ.13

კლასები	მოსწავლეთა რაოდენობა	ვაუჩერი	ვაუჩერი	ვაუჩერი	ვაუჩერი /მაღალმთიანი

ცხრ.15

საბაზო დაფინანსება		
მოსწ. რაოდენობა	თარიღი 27.09.2013 დადგენილება N249	თარიღი 14.09.2015 დადგენილება N476
170-205	52 000	55 000
206-299	49 000	52 000
300-530	44 000	47 000
531-735	38 000	40 000
736-1269	33 000	35 000
1270 და მეტი	25 000	25 000

ცხრ.16

მოსწავლეთა რაოდენობა	საბაზო დაფინანსება / მაღალმთიანი	
	თარიღი 11.09.2018 დადგენილება N462	თარიღი 30.08.2019 დადგენილება N418
170-205	63 500/82 000	68 000/87 000
206-299	59 500/75 500	64 500/80 500
300-530	53 500/67 500	58 000/72 500
531-735	44 500/59 500	49 000/64 500
736-1269	39 500/51 500	44 000/56 500
1270 და მეტი	30 500/43 500	36 000/48 500

ცხრ 17

თარიღი 14.09.2015 დადგენილება N476	თარიღი 28.09.2015 ბრძანება N126/ნ	თარიღი 06.09.2019 ბრძანება N187/ნ	თარიღი 18.01.2021 ბრძანება N03/ნ
სტატუსი	სტატუსის დანამატი	სტატუსის დანამატი	სტატუსის დანამატი
უფროსი	160	470	570
წამყვანი	250	850	950
მენტორი	300	1150	1250

2021 წლის 15 იანვრის N13-ე დადგენილების მიხედვით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5082256?publication=0) ცვლილება შეეხო, საჯარო სკოლის უფროსი და წამყვანი სპეციალური მასწავლებლების სტატუსის მქონე პედაგოგებს და ისევ მზარდი

ფინანსური დანამატებით განისაზღვრა მათი სახელფასო სარგო, რაც უდავოდ დადებითი ტენდენციაა საგანმანათლებლო სისტემის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ საჯარო სკოლების ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, ამ პოზიტიური ცვლილებების პარალელურად, კერძო სკოლებისათვის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის N476-ე დადგენილებით, არაფერი შეცვლილა და პირველი მუხლის V პუნქტის თანახმად, დაფინანსების უცვლელ თანხად, კვლავ 300 ლარი რჩება, მაშინ, როდესაც წლების განმავლობაში, საჯარო სკოლების დაფინანსება ასე თვალნათლივ იზრდება.

ამრიგად, ზემოაღნიშნული დადგენილების, პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლებისთვის ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივი და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი გამოითვლება ეროვნული სასწავლო გეგმით, მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის, საათობრივი დატვირთვის, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების გათვალისწინებით. სტანდარტული ვაუჩერის გარდა, საჯარო სკოლებში სარგებლობენ საბაზო დაფინანსებით (პუნქტი 7 და 7/1), მასწავლებლის სტატუსის დამატებით (პუნქტი 8) და სხვა სიკეთეებით. აქ შეიძლება დავსვათ სრულიად ლოგიკური და რელევანტური კითხვა: სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურა - განათლების სამინისტრო - რატომ ექცევა კერძო საგანმანათლებლო სექტორს - ხატოვნად რომ ვთქვათ, როგორც ავი დედინაცვალი? ნუთუ სწავლების კერძო სექტორი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში არ მოიაზრება? ან საჯარო სკოლებისთვის განკუთვნილი სტანდარტული ვაუჩერის გარდა, რომელიც ისედაც მეტია კერძოსთან შედარებით - უამრავ სხვა დანამატს იღებს ბონუსის სახით - კერძო საგანმანათლებლო სექტორმა რა დააშავა? საიდან, როგორ, რა ფორმულის გამოყენებით მოხდა კერძო სკოლებისთვის გამოყოფილი 300 ლარის ათვლა? ამ საკითხზე არსად, არცერთ დადგენილებაში არაფერია ნათქვამი. ეს ის 300 ლარია, რომელიც დღეს ისეა დევალვირებული, გაუფასურებული, რომ სრულიად შეუსაბამოა სწავლების მაღალი ხარისხის მისაღწევად.

2021 წლის 22 ივლისის მთავრობის N368 დადგენილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5221564?publication=0) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის საჯარო სკოლებს გამოეყოთ დამატებითი დაფინანსება (იხ. ცხრილი 18).

ცხრ.18

მოსწავლეთა რაოდენობა	დამატებითი დაფინანსება სპეც საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის
თარიღი 22.07.2021 დადგენილება N368	
1-5	8400
6-10	16800
11-15	25200
16-20	33600
21-25	42000
26-30	50400
31-35	58800
36-40	67200
41-45	75600
46-50	84000
50-ზე მეტი	92400

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოსწავლეთა რაოდენობები ჩაიშალა და დაფინასებაც მინიმუმ გაორმაგდა.

2021 წლის 22 დეკემბრის N602 საქართველოს მთავრობის დადგენილებით (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5320934?publication=0) ისევ შეიცვალა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. აქ უკვე გაიყო ქართულენოვანი

და არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისათვის/სექტორებისათვის პირველიდან მე-8 კლასის ჩათვლით ვაუჩერი სხვადასხვაა.

მაგალითად, თუ 170-დან 205 მოსწავლემდე სკოლებში ქართულენოვან სკოლაში ვაუჩერი არის 516 ლარი, არაქართულენოვან სკოლაში ვაუჩერი 504 ლარია, 12/9 ლარით ნაკლები. რატომ და რა გათვლებით გაუგებარია (იხ. ცხრილი 19).

ცხრ. 19

კლასები	მოსწავლეთა რაოდენობა	ვაუჩერი /ქართული სექტორი ქალაქი/მაღალმთიანი	ვაუჩერი არაქართულენოვანი სექტორი ქალაქი/მაღალმთიანი
		თარიღი 22.12.2021 დადგენილება N602	
1-8	**170-205**	516/708	504/699
	206-299	513/705	498/696
	300-530	510/690	495/678
	531-735	498/678	480/666
	736-1269	492/666	471/654
	1269 და მეტი	483/654	468/645
9-12	**170-205**	612/837	
	206-299	609/834	
	300-530	606/816	
	531-735	594/798	
	736-1269	582/789	
	1269 და მეტი	567/774	

ამავე დადგენილებით არაქართულენოვანი სკოლებისათვის საბაზო დაფინანსებაც შემცირდა ქართულენოვან სკოლებთან შედარებით 1500-2500 ლარით (იხ. ცხრილი 20).

ხოლო სამინისტროს მიერ შერჩეულ საჯარო სკოლებს, ბილინგვური განათლების დანერგვის მიზნით, დაემატათ ბილინგვური სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორის შტატი- 620 ლარის ანაზღაურებით, რომელსაც დამატებით ყოველთვიურად დააფინანსებს სამინისტრო.

ცხრ. 20

მოსწავლეთა რაოდენობა	საბაზო დაფინანსება / მაღალმთიანი	
	ქართულენოვანი სკოლებისათვის თარიღი 22.12.2021 დადგენილება N602	არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის თარიღი 22.12.2021 დადგენილება N602
170-205	71 500/90 500	70 000/88 500
206-299	68000/84000	66 500/81 500
300-530	62 500/77000	60 000/73 500
531-735	53 000/68 500	50 500/65000
736-1269	47000/59 500	44 500/57000
1270 და მეტი	40 500/53 000	38 000/50 500

რათა თვალნათლივ დავინახოთ სხვაობა ერთი და იგივე მონაცემების მქონე სკოლების დაფინანსებას შორის მოვიყვანოთ მაგალითი.

ავიღოთ სკოლა შემდეგი მონაცემებით:

- მოსწავლეთა რაოდენობაა- 190 მოსწავლე (I-VIII კლასი - 120, IX-XII კლასი - 70);
- მასწავლებელი (ჩავთვალოთ ყველა არის უფროსი სტატუსის) -30;
- სსსმ მოსწავლე 1-დან 5-მდე.

დავითვალოთ ქალაქი/სოფელი/დაბა-ში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლის წლიური დაფინანსება:

ვაუჩერი(წლიური) I-VIII კლასი - 516 ლარი, IX-XII კლასი – 612 ლარი;
საბაზო დაფინანსება(წლიური) - 71 500 ლარი;
სსსმ მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისათვის (წლიური)- 8400 ლარი;
მასწავლებლის სტატუსის (უფროსი/წამყვანი/მენტორი) დანამატი (თვე) - 570/950/1250 ლარი;
სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული ექიმი/ექთანი (თვე)- 600/500 ლარი;

X= 120*516+70*612+71500+8400+600*12 +570*30*12=397 060 ლარი.

დავითვალოთ მაღალმთიან ადგილას მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლის წლიური დაფინანსება:

ვაუჩერი (წლიური) - I-VIII კლასი - 708 ლარი, IX-XII კლასი – 837 ლარი;
საბაზო დაფინანსება (წლიური) - 90 500 ლარი;
სსსმ მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის (წლიური) - 8400 ლარი;
მასწავლებლის სტატუსის (უფროსი/წამყვანი/მენტორი) დანამატი (თვე) - 570/950/1250 ლარი;
სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული ექიმი/ექთანი (თვე) - 600/500 ლარი;

X=120*708+70*837+90500+8400+ 570*30*12+600*12=454 850 ლარი.

დავითვალოთ ქალაქის/სოფელი/დაბა-ში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლის წლიური დაფინანსება:

ვაუჩერი(წლიური) - I-VIII კლასი - 504 ლარი, IX-XII კლასი – 612 ლარი;
საბაზო დაფინანსება (წლიური) - 70 000 ლარი;
სსსმ მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის (წლიური) - 8400 ლარი;
მასწავლებლის სტატუსის (უფროსი/წამყვანი/მენტორი) დანამატი (თვე) - 570/950/1250 ლარი;
სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული ექიმი/ექთანი (თვე)- 600/500 ლარი;

X= 120*504+70*612+70000+8400+600*12 +570*30*12=394 120 ლარი.

დავითვალოთ მაღალმთიან ადგილას მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლის წლიური დაფინანსება:

ვაუჩერი (წლიური) I-VIII კლასი - 699 ლარი, IX-XII კლასი – 837 ლარი;
საბაზო დაფინანსება (წლიური) - 88 500 ლარი;
სსსმ მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის (წლიური)- 8400 ლარი;
მასწავლებლის სტატუსის (უფროსი/წამყვანი/მენტორი) დანამატი (თვე) - 570/950/1250 ლარი;
სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული ექიმი/ექთანი (თვე)- 600/500 ლარი;

X= 120*699+70*837+88 500+8400+600*12 +570*30*12=451 770 ლარი.

კერძო სკოლის ვაუჩერი, იგივე პარამეტრების სკოლისთვის:

X=190*300=57000 ლარი.

ცხრ.21

სახელმწიფოს მიერ სკოლების წლიური დაფინანსება		რა ჯდება მინიმალური რეალური ვაუჩერი ერთ მოსწავლეზე, 190 მოსწავლიან საჯარო სკოლაში/კერძო სკოლაში
ქართულენოვანი საჯარო სკოლა(ქალაქი)	397 060	2090
ქართულენოვანი საჯარო სკოლა(მაღალმთიანი)	454 850	2390

არაქართულენოვანი საჯარო სკოლა(ქალაქი)	394 120	2075
არაქართულენოვანი საჯარო სკოლა(მაღალმთიანი)	451 770	2380
კერძო სკოლა	57 000	300

როგორც 21-ე ცხრილშია ნაჩვენები, დაახლოებითი გათვლებით, მოსწავლის ვაუჩერის მინიმალური ღირებულება, თუ გავაერთიანებთ სხვადასხვა დაფინანსებას, რომელიც არ არის სრული, ქართულენოვანი სკოლებისთვის (ქალაქი/მაღალმთიანი) არის - 2090/2390 ლარი, ნაცვლად - 516-483/708-655/612-567/837-774 ლარისა. არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისათვის (ქალაქი/მაღალმთიანი) - 2075/2380 ლარი, ნაცვლად 504-468/699-645 ლარისა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ სახელმწიფო, საჯარო სკოლებში კაპიტალური რემონტისთვის დამატებით გამოყოფს შესაბამის ხარჯებს. ასევე დამატებით აფინანსებს მანდატურის სამსახურს. ხშირად ასუფსიდირებს სკოლების კომუნალურ გადასახადებს.

იდეაში, თითოეული მოსწავლის ზოგადი განათლების უზრუნველყოფა სახელმწიფოს 4-5 - ჯერ მეტი უჯდება, ვიდრე თავად საჯარო სკოლის მოსწავლის ვაუჩერია.

გამოყენებული რესურსი:

1. https://cciir.ge/images/pdf/vaucheri.pdf
2. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/10564?publication=0
3. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1151089?publication=0
4. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1830820?publication=0
5. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2982289?publication=0
6. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5221564?publication=0
7. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5320934?publication=0

რეზიუმე

დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლის ძირითად მიზანი იყო საგანმანათლებლო რესურსების თანაბარი გადანაწილება, დაფინანსების მანკიერი ცენტრალიზებული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, როცა მხოლოდ სკოლის თანამშრომელთა ხელფასები გაიცემოდა.

უნდა დაფინანსებულიყო ყველა მოსწავლის განათლება განურჩევლად კერძო და საჯარო სექტორებისა და დაფინანსების ოდენობა უნდა ყოფილიყო თანაბარი.

რა მოხდა რეალობაში 2006 წლის იანვრიდან- დღემდე (2022 წლის ოქტომბერი), ვაუჩერული დაფინანსების „უნივერსალური“ მოდელიდან ხელში შეგვრჩა გაურკვეველი, რიგ შემთხვევებში დისკრიმინაციული ვაუჩერულ/პროგრამულ/საბაზო დაფინანსების მოდელი, რომლის ანალოგი არცერთ ცივილურ ქვეყანაში არ არის.

ისმება კონკრეტული კითხვები, პასუხები კი არ არის. მაგ.:

- რატომ არის განსხვავებული ვაუჩერი 1-8 და 9-12 კლასის მოსწავლეებისთვის?
- რატომ არის განსხვავებული ვაუჩერი 1-8 კლასის არაქართულენოვანი და ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისთვის?
- რატომ არის განსხვავებული საბაზო დაფინანსება ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისთვის?
- რატომ არ შეიძლება ყველა ხარჯი შევიდეს ვაუჩერის ფორმულაში და დამატებით არ ფინანსდებოდეს ექიმის/ექთნის, ბილინგვური სასკოლო გეგმის დანერგვის კოორდინატორის, მასწავლებელთა სტატუსით გათვალისწინებული დანამატები?
- რატომ არის განსხვავებული ვაუჩერი საჯარო და კერძო სკოლებს შორის?
- რის საფუძველზეა განსაზღვრული კერძო სკოლის მოსწავლის ვაუჩერი 300 ლარი ?

სტატიაში განხილულია ის ტენდენციები, რომელიც ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემისთვისაა დამახასიათებელი. რეფორმის საწყისი ეტაპი, მეტნაკლებად სამართლიანი და თანაბარი იყო. მომდევნო

ეტაპზე კი საჯარო სკოლების პრივილეგია, აშკარად გამოიკვეთა დაფინანსების თვალსაზრისით და კერძო სექტორი კი დარჩა ყურადღების გარეშე.

ჩემი რეკომენდაციის მიხედვით, საჭიროა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის დაფინანსების ახალი ფორმულის შემუშავება, რომელიც იქნება სამართლიანი, გამჭვირვალე, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებასა და სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული.

დღეს საჯარო სკოლა კი არ ვითარდება - მხოლოდ სულდგმულობს. სკოლის ვაუჩერი ფარავს ხელფასებს და კომუნალურ ხარჯებს. არიან სკოლები რომლებიც კომუნალურ ხარჯებსაც ვერ ფარავენ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დოტაციაზე არიან. ამიტომ ვფიქრობ, ვაუჩერში არ უნდა შედიოდეს კომუნალური ხარჯები (ბუნებრივი აირი, ელ. ენერგია, წყალი), რომელიც მუდმივად მზარდია და სკოლის დაფინანსების დიდ ნაწილს შეადგენს. ეს ხარჯი უნდა ჩაიდოს ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში.

ვაუჩერი უნდა ფარავდეს:

- თანამშრომელთა ხელფასებს;
- სასკოლო თვალსაჩინოებებისა და სწავლებისათვის საჭირო სასწავლო რესურსის ხარჯს;
- მასწავლებელთა/თანამშრომელთა ტრენინგების ხარჯს;
- სასკოლო პროექტებისა და გრანტების ხარჯს;
- და ა.შ.

აუცილებელია ვაუჩერის ოდენობა იძლეოდეს სკოლის განვითარების საშუალებას. როგორც ცნობილია ყველა სკოლას აქვს მისია და სტრატეგიული მიზნები, ზუსტად მიზნების განხორციელებისთვის არის საჭირო სრულყოფილი ვაუჩერი.

კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო ზოგად განათლებას სრულად აფინანსებს. ზოგადი განათლების დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს ერთ მოსწავლეზე გათვლილ ფინანსურ ნორმატივს და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის რაოდენობას. ვაუჩერი არის მოსწავლის და რომელ სკოლაშიც არ უნდა გადავიდეს - მისი რაოდენობა არ უნდა იცვლებოდეს!

Elsa Badashvili

How did the voucher financing of general education schools (the amount of the standard voucher corresponding to the financial norms calculated for one student) turn into program-voucher financing of an unknown type

Summary

The main goal of the transition to a voucher system of funding was to distribute educational resources more equitably, as opposed to the vicious centralized funding practice where only school staff salaries were paid. The education of all students should be funded regardless of private and public sectors and the amount of funding should be equal.

What happened in reality from January 2006 to today (October 2022), from the "universal" model of voucher financing, we got an unclear, in some cases discriminatory voucher/program/base financing model, which has no analogues in any civilized country.

Specific questions are asked, but there are no answers. e.g.:

- Why is the voucher different for students in grades 1-8 and 9-12?
- Why is the voucher different for students of non-Georgian-speaking and Georgian-speaking schools of grades 1-8?
- Why is the basic funding different for students of Georgian-speaking and non-Georgian-speaking schools?
- Why can't all the costs be included in the voucher formula and additionally not be financed the allowances provided for the status of the doctor/nurse, the coordinator of the implementation of the bilingual school plan, the teachers?
- Why is the voucher different between public and private schools?
- On what basis is the 300 GEL voucher for a private school student determined?

The article discusses the trends that are characteristic of the education system of our country. The initial stage of the reform was more or less fair and equal. In the next stage, the privilege of public schools was clearly highlighted in terms of funding, and the private sector was left without attention.

According to my recommendation, it is necessary to develop a new formula for funding education in general education schools, which will be fair, transparent, focused on improving the quality of teaching and learning and school development.

Today, the public school is not developing - it is only stagnating. The school voucher covers wages and utility costs. There are schools that cannot even cover utility costs and are subsidized by the Ministry of Education and Science. Therefore, I think that the voucher should not include utility costs (natural gas, electricity, water), which are constantly increasing and make up 50-60% of school funding. This expense should be included in the budget of local self-governments.

Voucher must cover:

- employees' salaries;
- the cost of school sights and educational resources necessary for teaching;
- the cost of teacher and employee trainings;
- the cost of school projects and grants;
- etc.

It is necessary that the amount of the voucher allows the development of the school. As you know, every school has a mission and strategic goals, and a perfect voucher is needed to achieve exactly those goals.

According to the constitution, the state fully finances general education. In order to finance general education, the Government of Georgia determines the financial norm for one student and the amount of its corresponding standard voucher. The voucher is for the student and no matter which school he/she moves to - its amount should not change!